უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №47

2018 წ. "17" 08

ქ.თბილისი

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასების და ურთიერთშეჯერების საფუძველზე და ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და 28-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 209467628) გაუუქმდეს ავტორიზაცია.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 17 აგვისტოს №08 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

მდივანი
მაკა გველესიანი